საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, საკადასტრო ერთეულზე, 01.17.01.131.014, ქეთევან წამებულის #50-ში შენობის (N 01/1,02/1,სანკვანძის,ფარდულის და სარდაფი #1) სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარების მიზანშეწონილობის შესახებ.

მოგახსენებთ,რომ 01.17.01.131.017 და 01.17.01.131.014 საკადასტრო ერთეულები შპს "რეალთი ავლაბარის" საკუთრებაა, სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება მრავალფუნქციური ცენტრის ასაშენებლად; ბრძანების #01192883542-67; თარიღი: 23/01/2020.

აგრეთვე, მომიჯნავე საკადასტრო ერთეულზე, 01.17.01.131.016, ქეთევან წამებულის #52-ში გაცემულია მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ბრძანების #4859059, თარიღი: 13/02/2020, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის ასაშენებლად.

შესაბამისად სამივე ნაკვეთზე უნდა მოხდეს არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი.

ჩემს მიერ დათვალიერება ჩაუტარდა ქ. თბილისი, საკადასტრო ერთეულზე, 01.17.01.131.014, ქეთევან წამებულის #50-ში შენობის (N 01/1,02/1,სანკვანძის,ფარდულის და სარდაფი #1) სადემონტაჟო სამუშაოების მიზანშეწონილობას. ამასთან, შემოწმდა სადემონტაჟო შენობების მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობა-ნაგებობების ტექნიური მდგომარეობა, სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებისას, მასზე რაიმე სახის უარყოფით ზემოქმედებასთან მიმართებაში.

სადემონტაჟო სამუშაოებისთვის განკუთვნილი ტერიტორია ხასიათდება მოწორებული რელიეფით,მცირედი დახრით ქეთევან წამებულის გამზირის მხარეს. საკადასტრო გეგმაზე აღნიშნული სადემონტაჟო ობიექტები საცხოვრებელი დანიშნულების შენობები და დამხმარე ნაგებობები,რომელიც აშენებულია გასული საუკუნის შუა წლებში. სახლი თავისი კონსტრუქციული წყობით იდენტური მზიდკედლებიანი ნაგებობაა, საძირკველი ლენტური ტიპისაა და შესრულებულია აგურის წყობით. მზიდი კედლები ამოყვანილია აგურის კედლებით ბეტონის დუღაბზე. სხვენის გადახურვა მოწყობილია ხის კონსტრუქციებზე.

საპროექტო მიწის ნაკვეთს სამხრეთის მხრიდან საზოგადოებრივი სივრცე, ქეთევან წამებულის გამზირს ემიჯნება, ხოლო სამი დანარჩენი მხრიდან კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები. კერძოდ, დასავლეთის მხრიდან მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.01.131.017, ჩრდილოეთის მხრიდან მიწის ნაკვეთებიი ს/კ 01.17.01.131.011, ს/კ 01.17.01.131.024 და აღმოსავლეთიდან მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.01.131.016.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.01.131.001 მასზე განთავსებულია ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი 01/1 და მისი დამხმარე ფუნქციური დანიშნულების შენობები 02/1, 03/1,04/1 ყველა მათგანი კონსტრუქციულად მზიდკედლებიანი ტიპისაა. საძირკველი ლენტური, შესრულებული აგურის წყობით. მზიდი კედლები ამოყვანილია აგურის წყობით ბეტონის დუღაბზე. შენობის გადახურვა მოწყობილია ხის კონსტრუქციებზე. 02/1, 03/1 ნაგებობები წარმოადგენენ საცხოვრებელ სახლზე მოგვაინებით ქაოტურად მიშენებულ სათავსოებს. დაშორება სადემონტაჟო შენობიდან 0.50-1.00 მეტრია. სადემონტაჟო სამუშაოები საჭიროა ჩატარდეს მუშახელის მეშვეობით. გამოყენებულ იქნას მსუბუქი ტიპის ხელსაწყო-აპარატები. დაუშვებელია სამუშაოებში მძიმე ტექნიკის ჩარევა, გარდა სატვირთო ავტოტრანსპორტისა. ასეთი სახით დემონტაჟის ჩატარება მოცემულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობებზე უარყოფით ზეგავლენას ვერ მოახდენს.

მიწის ნაკვეთები ს/კ 01.17.01.131.011, ს/კ 01.17.01.131.024 - მასზე მდებარე შენობებიც როგორც ზემოთ მოყვანილ მიწის ნაკვეთებზე ანალოგიური დანიშნულების - საცხოვრებელი და მათი დამხმარე ნაგებობებია. სადემნოტაჟო შენობა 03/1-თან ყველაზე ახლოს მდგომი შენობები - 3/1, 4/1, 9/1, 5/1, 6/1 და 7/1-ია. ისინი წარმოადგენენ არაერთგვაროვანი სამშენებლო მასალით, ქაოტურად ნაშენ სათავსოებს, ზოგიერთ მათგანს საძირკველი საერთოდ არ გააჩნია. ნაგებობები გადახურულია ხის ნაგებობებით. შენობების მზიდი კედლები ნაშენია აგურის წყობით ბეტონის დუღაბზე. ამ შემთხვევაშიც სადემონტაჟო სამუშაოები უნდა ჩატარდეს ხელით და არა მძიმე ტექნიკის მეშვეობით, რაც გამორიცხავს არსებულ მომიჯნავე ნაკვეთზე მდებარე შენობებზე რაიმე სახის ზემოქმედების მოხდენას.

მიწის ნაკვეთი ს/კ 01.17.01.131.016 - ნაკვეთზე მდებარე შენობები - საცხოვრებელი და მისი დამხმარე სათავსოები მჭიდროდ არიან განთავსებული და წარმოადგენენ მზიდკედლებიანი ტიპის კონსტრუქციული წყობის ნაგბობებს. ისინი ნაშენია აგურის, წვრილი სამშენებლო ბლოკისა და ხის კონსტრუქციებით. სადემონტაჟო შენობასთან ისინი განთავსებულნი არიან 2.50 მეტრის დიაპაზონში. მათ გააჩნიათ ცალკე საძირკვლები. სადემონტაჟო სამუშაოების მუშახელის მეშვეობით ჩატარების შემთხვევში მათზე რაიმე სახის ზემოქმედება გამორიცხულია.

დასკვნა

ქ. თბილისი, საკადასტრო ერთეულზე, 01.17.01.131.014, ქეთევან წამებულის #50-ში შენობის (N 01/1,02/1,სანკვანძის,ფარდულის და სარდაფი #1) სამუშაოების ჩატარება დასაშვებად მიგვაჩნია. მომიჯნავე ნაკვეთებზე განთავსებულ და სადემონტაჟო შენობებს გააჩნიათ დამოუკიდებელი საძირკვლები. ისინი წარმოადგენენ ცალკე მდგომ ნაგებობებს. სადემონტაჟო სამუშაოები ჩატარდეს ხელით, მუშახელის მეშვეობით გამოყენებულ იქნას მსუბუქი ტიპის ხელსაწყო-აპარატები. დაუშვებელის სამუშაოებში მძიმე ტექნიკის ჩარევა, გარდა სატვირთო ტრანსპორტისა. ასეთი სახით სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებზე უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

სამუშაოები ჩატარდეს შესამაბისი გამოცდილების მქონე სუბიექტის მიერ. სადემონტაჟო სამუშაოების დროს დაცული იქნას ქვეყანაში არსებული სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები (სნ და წ 3.01.01.85* „სამშენებლო საქმიანობის წარმოება“ სნ და წ III-4-80* -

„ტექნიკური უსაფრთხოება მშენებლობაში; სნ და წ 5.03.01 – 43 N 1.15 მოთხოვნები საქალაქო განაშენიანებაში სამუშაოთა წარმოების თაობაზე);

გათვალისწინებული იქნას N 361 27.05.2014 წ. „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის და N 477 27.10.2017 წ. „სიმაღლეზე სამუშაოების უსაფრთხოების ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნები.

ინჟინერ-კონსტრუქტორი ილია მეხრიშვილი

tel. 599 14 60 72

iliko46@yahoo.com

თბილისი 14-02-2020

გამოყენებული ლიტერატურა (სტანდარტი, რეგლამენტები...)

1. პნ 01.05-08 - სამშენებლო კლიმატოლოგია;

2. პნ 01.01-09 - სეისმომედგი მშენებლობა;

3. პნ 02.01-08 - შენობების და ნაგებობების ფუძეები;

4. პნ 03.01-09 - ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები;

5. СНиП 2.01.07-85* - Нагрузки и Воздействия, М.: 1987;

6. EMS-98 - European Macroseismic Scale 1998 Volume 15

CURRICULUM VITAE (CV)

პროფესია	ინჟინერ-კონსტრუქტორი
სახელი, გვარი	ილია მეხრიშვილი
დაბადების თარიღი	19 ივლისი 1959
დაბადების ადგილი	ქ. თბილისი
მოქალაქეობა	საქართველოს მოქალაქე

განათლება:

უმაღლესი. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. სპეციალობა სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

სამუშაო გამოცდილება:

პერიოდი	**დამსაქმებელი ორგანიზაცია და თქვენი თანამდებობა. საკონტაქტო ინფორმაცია**	**ქვეყანა**	**აღწერეთ თქვენი მოვალეობები**
1981-1985	"საქსოფლმშენსახპროექტი" ინჟინერ-კონსტრუქტორი	საქართველო	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანგარიში და დამუშავება
1985-1989	სახლმშენებელი კომბინატი № 5 ტექნიკური განყოფილების უფროსი	საქართველო	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.
1989- 1995	"თბილქალაქპროექტი" ინჟინერ-კონსტრუქტორი	საქართველო	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანგარიში და დამუშავება. მშენებლობაზე საავტორო ზედამხედველობის განხორციელება.
2008-დღემდე	შპს "არტსტუდიო პროექტი" ინჟინერ-კონსტრუქტორი	საქართველო	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანგარიში და დამუშავება. მშენებლობაზე საავტორო ზედამხედველობის განხორციელება. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.

ენები (მიუთითეთ მხოლოდ ის ენები, რომელშიც შეგიძლიათ მუშაობა)

რუსული

ინგლისური

კომპიუტერული პროგრამები Word; Excel; PowerPoint; AutoCAD; ArchiCAD; ПК ЛИРА; МОНОМАХ; E-mail; internet;

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ქ. თბილისი ე. ტატიშვილის ქ№18

ტელეფონი: 599 14 60 72

E_mail: iliko46@yahoo.com

დიპლომი

ЖВ № 187451

ეს დიპლომი მიეცა ილია გიორგის ძე
მეხრიშვილს
მასზე, რომ იგი 1976 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ლენინის სახელობის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1981 წელს დაამთავრა
ლენინის სახელობის ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1981 წ.
„ 8 “ 07 გადაწყვეტილებით
ა.გ.მეხრიშვილს მიენიჭა ინჟინერ-
მშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1982 წ. „ 29 “ I

სარეგისტრაციო № 11277

Грузинский из.

ДИПЛОМ

ЖВ № 187451

Настоящий диплом выдан Мехришвили
Илье Георгиевичу
в том, что он в 1976 году поступил
в Грузинский политехнический
институт имп. В.И. Ленина
и в 1981 году окончил полный курс
названного
института
по специальности промышленное
и гражданское
строительство

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „ 8 “ 07 1981 г.
Мехришвили И.?
присвоена квалификация инженера
-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

м. п.

Город Тбилиси „29“ I 1982 г.

Регистрационный № 11277

Московская типография Гознака. 1979.